ხელშეკრულება დონაციის შესახებ
თურქეთის რესპუბლიკისა და საქართველოს მთავრობებს შორის ჯანმრთელობის სფეროში

თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მხარეები") შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

აღნიშნული დონაცია ხორციელდება თურქული მხარის მხრიდან „ქართული მხარისათვის", როგორც მეგობრობისა და კეთილი ნების გამოხატულება, რათა ხელი შეუწყოს „ქართულ მხარეს" საკუთარი სამედიცინო სერვისების განხორციელებაში.

მუხლი 2

თურქული მხარე განახორციელებს ანტირაბიული ვაქცინის 5,000 დოზის დონაციას ქართული მხარისათვის.

მუხლი 3

მას შემდეგ, რაც მოხდება დონაციის მიწოდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის, ვაქცინები წარმოადგენს ქართული მხარის საკუთრებას და მათი გამოყენება უნდა მოხდეს შესაბამისი სამედიცინო სერვისების გასაგრძელებლად. პასუხისმგებლობა ვაქცინების გამოყენებისა და სხვა სამართლებრივ საკითხზე, რაც შეიძლება აღიძრას აღნიშნული მიწოდების ფარგლებში, ეკისრება ქართულ მხარეს.

მუხლი 4

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან

მუხლი 5

ხელშეკრულება შესრულებულია ანკარაში, ა.წ. 22 აგვისტოს, 2 (ორ) დედნად თურქულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი თანაბრად ავთენტურია. განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს მთავრობის სახელით:	თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით:
ირაკლი კოპლატაძე საქართველოს ელჩი თურქეთის რესპუბლიკაში	პროფესორი, ეიუფ გიუმუში თურქეთის რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრის პირველი მოადგილე